ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 24 მარტი 2019წ.

მისამართი:
ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა,IIIჩიხი №7;

საკადასტრო კოდი:
01.72.14.032.362;

ფართობი:
7915.00 კვ.მ.

მესაკუთრე :

შ.პ.ს. „კენტავრი"ID ნომერი:211324020;

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტი რელიეფურად ვაკეა . აღწერა შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ცხრილი №1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე) სმ.	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ტყემალი (Prúnus cerasifera)	ხე	16	ჯანსაღი	ორკაპი ხილკენკროვანი ექვემდებარება გადარგვას

2	ჭერამი(Pr. Armenica)	ხე	4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება გადარგვას
3	ვერხვი (Populus tremula)	ხე	99	ხმობადი	იხილეთ ლაბორატორიული დასკვნა
4	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	ხე	4	ჯანსაღი	ორკაპი ხილკენკროვანი ექვემდებარება გადარგვას
5	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	ხე	4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება გადარგვას
6	წნორი(Salix alba)	ხე	98	ხმობადი	იხილეთ ლაბორატორიული დასკვნა

სააკვლევ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა 6 ძირი ხე-მცენარეა.

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები : 4

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : 4

ზეხმელი ხე–მცენარეები : -

ხმობადი ხე–მცენარეები : 2

კერძოდ:

1. იაფი ღირებულების ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 2 ძირი:

1ძირი(№3)- ვერხვი(Populus tremula);

1ძირი(№6) -წნორი(Salix alba).

2.ხილკენკროვანი ხე-მცენარე 4 ძირი:

12სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 3 ძირი:

1ძირი(№2) -ჭერამი(Pr. Armenica);

1ძირი(№4, 5) - ტყემალი (Prúnus cerasiféra).

12სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 3 ძირი:

1ძირი(№1) -ტყემალი (Prúnus cerasiféra).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვა:

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა

არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ექსპერტი: გიორგი ჭიპაძე.

BioAGRO
მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი
- CENTER of BIOLOGICAL PROTECTION of PLANTS

45.02.19.

22 მარტი 2019 წ.

ბატონ გიორგი ტივაძეს
პ/ნ01021002814

საექსპერტო დასკვნა

ბატონო გიორგი,

თქვენი ა.წ. 17 მარტის განცხადების საფუძველზე, შ.პ.ს. „ბიოაგრო"- მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის ექსპერტების მიერ (შ. ყანჩაველი, ლ.რეხვიაშვილი, კ. კიკორია) მიერ 18 მარტს ფიტოსანიტარული მონიტორინგი ჩაუტარდა ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა #7 (ს/კ: 01.72.14.032.362.) კერძო ტერიტორიაზე დანომრილ 2 ძირ მწვანე ნარგაობას: 1 ძირ ვერხვს და 1 ძირ წნორს.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი ვერხვი #3 და 1 ძირი წნორი #6 ხმობაშია შესული. ვერხვი არის ფაუტი, ავარიული, შეზრდილია საყრდენი ღობის საძირკველში, ხილო წნორის ხის ღეროსა და ვარჯის ნახევარზე მეტი არის ხმელი.

ხმობის მიზეზების დასადგენად ლაბორატორიაში წარმოდგენილი იქნა ადგილზე აღებული თითოეული ხე-მცენარის დაზიანებული ვეგეტატიური ნაწილები (ქერქის ანათლები, ხმელი და ხმობაში შესული ტოტები) დალუქულ მდგომარეობაში. ჩვენს მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ მცენარეების ნიმუშებს ჩაუტარდა მიკოლოგიური და ლაბორატორიული ანალიზი საყოველთაოდ ცნობილი მეთოდიკის მიხედვით (Хохряков 1969г., Чумаков 1972г., Hawkswortu 1974. ბარნეტი, ჰუნტერი 2010 წ., გ. ბე-იბიენკო 1965 წ.) დაზიანებულ ნიმუშებიდან აღებული მასალა გადაითესა მყარ ხელოვნურ საკვებ არეზე და მოთავსდა თერმოსტატში. სოკოების მომწიფებულ ნაყოფებს ჩაუტარდა მიკროსკოპული ანალიზი, მოხდა მათი იდენტიფიკაცია სარკვევების გამოყენებით.

კვლევის შედეგები:

#3 ვერხვის დაზიანებული ნაწილებიდან აღებულ ნიმუშებზე გამოვლინდა ფესვის ყელის სიდამპლე, ასევე შტამბზე დაა ქერქის ნახეთქებზე ვერტიცილიუმის გვარის სოკოები, მავნებლებიდან ხარაბუზები და ქერქიჭმიები.

ტელ.: (+995) 790 685884; ელფოსტა: bioagro.ge@gmail.com; ს.კ. 404922394

45.02.19.

ხოლო #6 წნორის ნიმუშებზე გამოვლინდა ვერტიცილიუმის გავარის სოკოები და აბედა სოკოს ნაყოფსხეულები, მავნებლებიდან კი ღრაჭას მატლები და ქერქიჭამიები.

ამრიგად, ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი ვერხვი # 3 და 1 ძირი წნორი # 6 არ ექვემდებარება განკურნებას.

შ.პ.ს. „ბიოაგრო“ მცენარეთა ბიოლოგიური
დაცვის ცენტრის დირექტორი კ. კიკორია

BioAGRO
404922394

სამეცნიერო ხელმძღვანელი შ. ყანჩაველი

ლაბორატორიის უფროსი ლ. რეხვიაშვილი


01.72.14.032.362
№6 66mhm Ф=986
01.72.14.032.362
№3. 39hbgn Ф=996


0,6










6


3

DrMkhLOGO_K_K.jpg

S.p.s "kirkitaZe da kompania" (s/n4162940067)

pekinis q. #27 t: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, faqsi: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი (ს.კ. 01.72.14.032.362)
შპს "კენტავრი" (ID: 211324020) საკუთრებაში არსებული 7915 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მომდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა


480250
480400
4624550
4624500
4624450
017214033296
017214033061
017214033059
017214033980
017214033981
017214033551
017214032854
017214032525
017214032930
017214065022
017214032954
017214032447
017214032446
წ=500ელს
ცხაურა
ბეტ
ბეტ
ბეტ